№ 270 დეკემბერი 19, სამშაბათი 1889 დეკემბერი 19, სამშაბათი № 270

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## „ივერია"

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც სურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ქართული თეატრი

სამშაბათს, 19 დეკემბერს,

ბენეფისი

მ. მ. საფაროვისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

**ჟულიეტა**

კომედ. 4 მოქმედ. ფრანგულიდამ

II

ადვოკატთან

ვოდევილი 1 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, დიმელი; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, ხუციშვილი, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

---

გამოვიდა და ისყიდება

**საქართველოს კალენდარი**

1890 წლისათვის,

შედგენილი და გამოცემული ვალ. გუნიას მიერ.

ფასი ათი შაური

ვინც ნაღდ ფულად იყიდის 50 ცალს, იმას დაეთმობა მანეთზე ხუთი შაური.

შეიძლება მიჰმართონ «წერა-კითხვის საზოგადოებას» და ტერ-სარქისოვის მაღაზიას, სასახლის ქუჩაზე, ლალაევის სახლში.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში 16 დეკემბერს გაიყიდა საჯარო გასყიდვით ქალაქის მამული ვ. ზიალოვისა, რომელიცა მდებარეობს სოლოლაკში ამალღების ქუჩაზე. მსყიდველმა თ. ვ. მაჩაბელმა აცნობა სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობას, რომ მის მიერ ნაყიდი სახლი ვ. ზიალოვისა დაგირავებულია თურმე ცალკე უწინდელ პრიკაზში, ცალკე ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში და ამას გარდა გარეშე პირთანაც, და ითხოვა ამის გამო გაუქმება გაყიდვისა. სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობამ მაშინვე აცნობა ეს ამბავი ცალკე სახელმწიფო ბანკს, რომელსაც დღეს პრიკაზის საქმენი ექვემდებარებიან, და ცალკე საკრედიტო საზოგადოების გამგეობას, და სთხოვა აუხსნან მართლა გირაოდა აქეთ ზემოხსენებული მამული ვ. ზიალოვისა, თუ არა. იმავე დღეს ორსავესაგან პასუხი მოუვიდა, რომ 16 დეკემბერს გაყიდული სათავად-აზნაურო ბანკისაგან მამული ვ. ზიალოვისა ორივეგან არის დაგირავებულიო. სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობამ მაშინვე ქაღალდით აცნობა ყოველივე ეს ბ-ნს პროკურორს და სთხოვა ვ. ზიალოვს სისხლის სამართლის წესით მოექცეს და განკარგულებაც მოახდინოს, ზიალოვი მოანახვინონ და შეიპყრან, რადგანაც ქალაქში ხმა დადის, რომ იგი 17 დეკემბერს უკვე გაქცეულა კიდეც.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ თთვის უკანასკნელს რიცხვებში დანიშნულია კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა კერძო კრება, რომელმაც უნდა მოილაპარაკოს, რა გვარი დამოკიდებულება უფრო სასურველია, რომ ჰსუფევდეს მკურნალთა და საზოგადოებას შორის. ამ კრებაზედ არა-წევრთ ნება არა აქეთ დაესწრნენ, ხოლო რასაც კრება გადასწყვეტს, რასაკვირველია, თავის დროზედ გამოცხადებული იქნება გაზეთებში.

*** «ივერიის» მე-269 ნომერში შეცდომით გვქონდა დაბეჭდილი სოფელ ქვემო-მაჩხაანიდამ მოსული ამბავი, რომ აქაურმა მღვდელმა ვ. მენთეშაშვილმა მთავრობის ნება-დართვით წიგნთ-საწყობი გაჰმართა, სადაც ყველას შეეძლება ყოველ-გვარის ქართულის წიგნის შოვნა საყიდლადაო. ეხლა გვწერენ, რომ მღვდელს მენთეშაშვილს წიგნის მაღაზია-კი არ დაუარსებია, არამედ წიგნთ-საწყობი, ბიბლიოთეკა გაუმართავს, საიდამაც ყველას შეეძლება უსასყიდლოდ წიგნის წაღება და კითხვა. მხოლოდ პატივცემულს მღვდელს ჯერ-ჯერობით მარტო სამღვთო შინაარსის წიგნები მოუგროვებია და იმედი აქვს სხვა საერო საკითხავი წიგნებიც მოიპოვოს, რისთვისაც მიუმართავს ყველა ამისთანა საქმის გულ-შემატკივარისათვის და შემწეობა უთხოვნია. მამა მენთეშაშვილი ჰფიქრობს, რომ ამისთანა წიგნების შემწირველი ბევრი გამოჩნდება და ქვემო-მაჩხაანს მალე კარგი და სავსე წიგნთ-საცავი ექნებაო...

*** კვირას, 17 დეკემბერს, დილის ათს საათზედ, პოლიციამ ნახა «კოლხიდას» სასტუმროსთან გოლოვინის პროსპექტზედ, ნომერში გარდაცვალებული პოდოლის გუბერნიისა და სოფ. კისლიანკის გლეხი ანტონ სტანკევიჩი. ეს კაცი ეხლა-ხან ჩამოსულიყო ტფილისში და „კოლხიდაში" ჩამომხდარიყო. შაბათს იგი უეცრად ავად გახდა თურმე და სასტუმროს მოსამსახურესაც-კი შესჩივლა თავისი ცუდად ყოფნა. ბოლოს შესვლისას მოსამსახურემ უსულო გვამი ჰნახა და პოლიციას შეატყობინა. პოლიციამ მაშინვე აღწერა და დაბეჭდა გარდაცვალებულის ნივთეულობა, იმისი ქაღალდები და რაღაც წამლით შუშა. ამბობენ, რომ სტანკევიჩმა თავი მოიწამლაო. ეს კაცი ამ ბოლოს დროს ძალიან ღარიბად სცხოვრობდა, თუმცა-კი საკმაო ფული ჰქონდა გაცემული თურმე და დაბ-

---

## ფელეტონი

### ძეგლის დება

მეფე გიორგი ბრწყინვალესი.

(შემდეგი*)

ვინ იყო ჰაეროვანი?—ძეგლის დება პირდაპირ არ განმარტებს ამ საგანს, მხოლოდ მცირე ცნობას გვაძლევს, რომ ჰაეროვანი წარჩინებულია და „სიკეთით" შემკული თავის სოფელში, თემში. ჰაეროვანის თვისების საცოდნელად საჭიროა არ დავივიწყოთ, რომ ჩვენი ძველი სამართალი თვით გლეხობაშიაც პირადს ღირსებას პატივსა სცემდა, „სიკეთით" შემკულს გლეხს სხვა გლეხებზედ მაღლა აყენებდა, თუმცა-კი საზოგადოდ ყველა გლეხი ერთს წოდებას შეადგენდა. ალბუღას სამართალი, მაგალითებრ, სისხლის დაურვების დროს ყურადღებას აქცევს გლეხის „სიკეთესა": უბრალო გლეხის სისხლი ღირდა ოთხასი თეთრი, ხოლო ისეთის გლეხისა, რომელსაც „პატრონი იცნობდა სიკეთესა ზედა"—ათასი თეთრი (მუხ. იბ).

ეს იურიდიული დაწესებულება მარტო ჩვენის ცხოვრების საკუთრება როდია. ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ პირვანდელის ფორმის საზოგადოებაში და აგრეთვე მაშინ, როცა ყველანი უმეტ-ნაკლებოდ სწორნი არიან, ერთი რომელიმე ოჯახი, ან რამდენიმე კაცი თავისის ძალ-ღონით, ღირსებითა და სიკეთით სხვებზედ მაღლა სდგანან. ასე იყო სახელდობრ თვით ტევტონების დემოკრატიულ მარკაში[38]. კერძოდ ჩვენს მთაში, თუმცა იურიდიულად წოდებრივი განსხვავება არ არსებობდა და როგორც ეხლა, ყველა მკვიდრნი თანასწორნი იყვნენ, მაგრამ თითო-ოროლა ოჯახი, რამდენიმე კაცი განირჩეოდა სხვებისაგან „სიკეთითა", განსაკუთრებულის ღვაწლითა სამშობლოსა და სოფელ წინაშე. აქა-იქ მოიპოვებოდა გვარი და ოჯახი, რომლის წინაპრებს დაუვიწყარი სამსახური გაეწიათ თემისათვის თავიანთის ვაჟკაცობითა, „ჭკუათ მყოფლობითა" და სხვ. ხალხი დიდს პატივსა სდებდა ისეთს გვარსა და ოჯახს, საკუთარის ღირსებით ამკობდა. და რადგანაც თვით სიტყვა—«ჰაეროვანი» კეთილ-მოსდომილია, ამიტომ ხალხიც თავის წარჩინებულებს ჰაეროვნებად რაცხდა: „სიკეთე", კეთილი დაუთესნიათ თქვენ წინაპრებსა და კეთილ-მოსდომილნი ხართო...

რა-კი ჰაეროვანი უბრალო ერის კაცისაგან განსხვავდებოდა, სისხლიც მეტი სდიოდა,—თუ ჰაეროვანმა მოჰკლას ჰაეროვანი, ათას ორასი თეთრი დაუურვოს, სამი წელიწადი გარდიხვეწოს და მამული სახეფოდ წაეღოსო (მუხ. ია). ასეთივე სასჯელი უნდა გარდაეხადა ხევის-ბერს, როცა ჰაეროვანი „ეფათერაკებოდა", თუ უსაბედად შემოაკვდებოდა ეს უკანასკნელი (მუხ. იბ). ძეგლის დებაში მოხსენებული არ არის რამდენი ღირდა «სოფლიონისა», „ვინგინდავინას" სისხლი. მხოლოდ ნაჩვენებია საზოგადო ფორმულა „გვარსა ზედა" და იგი ფორმულა ხომ ნიშნობლივ არ ამბობს, ამდენი დაეურვოს დაზარალებულსაო. ჩვენის აზრით, ძეგლმა უბრალო „სოფლიონის" სისხლი თვით ადგილობრივ ბჭეებს მიანდო, ადათსა და ჩვეულებას გარდასცა ეს საქმე, მხოლოდ ერთის პირობით: „სოფლიონს", როგორც ყველას სხვას, სისხლი დაეურვოს „გვარსა ზედაო"... ამიტომაც არა სჩანს, რომ სახელდობრ ესა-და-ეს უნდა მიეცეს „სოფლიონს" სისხლის ფასშიო. ეს გარემოება, სხვათა შორის, ცხადად ამტკიცებს, რომ «სოფლიონი» იურიდიულად ყველაზედ დაბლა იდგა, შედარებით ყველაზედ ცოტა სისხლი სდიოდა, თორემ ასე რომ არა ყოფილიყო, კანონი პირდაპირ მოიხსენიებდა „სოფლიონისა" და „ვინგინდავინას" ამდენი სისხლი უნდა დაეურვოსო. ამიტომ შეუძლებელია განვმარტოთ—თუ რამდენად აღემატებოდა ჰაეროვანი „სოფლიონსა". ეჭვს გარეშეა მხოლოდ ის, რომ ჰაეროვნობა ცალკე იურიდიულს წყობასა და ჯგუფს წარმოადგენდა, ჰაეროვანი უბრალო კაცი არ იყო და განსაკუთრებული სისხლი სდიოდა.

ამ დედა-აზრის დასამტკიცებლად სხვა საბუთიც მოიძებნება. ეს საბუთი ეგრეთ წოდებული არზანგობაა, რომელსაც ქართულ სჯულ-მდებლობაში საკუთარი მნიშვნელობა აქვს. არზანგობა, არზანგი შეადგენდა განსაკუთრებულს გარდასახადს, რომელიც დამნაშავეს უნდა ეზღო დაზარალებულისათვის. მართალია, ზოგიერთ ბოროტ-მოქმედებისათვის საჭირო იყო სისხლის დაურვებას სხვა ჯარიმაც ზედ დართოდა, ანუ, როგორც ალბუღას სამართალი ამბობს, „სისხლს ემატოს" (მაგალითებრ, ვისმეს მღვდლის ცოლი რომ შეეყვარებინა, დამნაშავე მოაშიკეს, სისხლს გარდა, „სამოცი ათასი თეთრი სხვა ემატოს (ალ. მუხ. რე; აგრეთვე რე). მაგრამ არზანგი «მეტი ჯარიმა» როდია, იგი სხვა მნიშვნელობისაა და ცოტა არ იყოს მიაგავს იმავე ალბუღას საპიროსა (ალ. მუხ. რჲ, რჲა). როგორც საპირო განსაკუთრებული ჯარიმა იყო პიროვნების შეურაცყოფისათვის დაწესებული და საზოგადო ფორმულას მისდევდა, „გვარსა ზედა" მოქმედებდა, ისე ძეგლის დების არზანგობასაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებული ჯარიმა იყო და სწორედაც ნათარგმნია სიტყვით „за обиду"[39]. არზანგობას საერთო არა აქვს-რა მხოლოდ სანაცვალოსთან (ალ. მუხ. რჲგ), რომელიც ნიშნავს „საზავო სანდოს"[40]. ძეგლის-დების სიტყვით, არზანგი სხვა-და-სხვაა აზნაურისა, ხევის-ბერისა და ჰაეროვანისათვის, „უფროსობასა" და «უმცროსობაზე» დამყარებულია. როცა სისხლის რაოდენობასა და არზანგობას შევადარებთ, მაშინ ჰაეროვანის არზანგი ხუთჯერ ნაკლებია აზნაურისა და ხევის-ბერისაზედ. თვით სისხლიც ჰაეროვნისა სწორედ ამოდენად ჩამოურჩებოდა აზნაურისა და ხევის-ბერის სისხლსა. სოფლიონი-კი, უბრალო კაცი, მოკლებული იყო არზანგსა. ერთის სიტყვით, არზანგობა წოდებრივსა და პიროვნულს ღირსებაზეა დამოკიდებული და სისხლთან შეფარდებულია. დაბალ წოდებაში იგი მარტო ჰაეროვანს აქვს მინიჭებული. რადგანაც ასეა, თვით ჰაეროვანიც უბრალო სოფლიონსა და ვინგინდავინაზედ მეტია, სისხლითა და ღირსებით მათ აღემატება.

ერთი გარემოებაც, რომელიც ზემოდ მოკლედ აღვნიშნეთ, უფრო მეტად ასაბუთებს ჩვენგან განმარტებულს ჰაეროვანებასა. ჰაეროვანი სისხლით უდრიდა ციხის თავად ყოფილსა და ეს უკანასკნელი ხომ განსაკუთრებულის უფლებითა და პატივით იყო აღჭურვილი. როგორც ჰაეროვანისა, ისე ციხის-თავად ყოფილის სისხლი ათას-ორასი თეთრი ფასობდა (მუხ. ია, იდ). დიაღ, ჰაეროვანი ნამდვილად

*) იხ. „ივერია" №№ 261, 264 და 266.

[38]) Деревенскія общины, Мэна, ст. 84 и др.

[39]) Сбор. зак. Вахт., გვ. 91. ბ-ნი ბაქრაძე სხოლიოში სიტყვას არზანგი სთარგმნის вознагражденіе, თუმცა ეს უკანასკნელი სულ სხვაა და არც „за обиду"-ს ნიშნავს. არზანგი საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონში არ იპოვება. „წერა-კითხვის საზოგადოების" ხელთ-ნაწერებში შეცდომით იხსნება უარზანგობა არზანგასა და არზანგობის მაგიერ.

[40]) როცა მესისხლენი დაზავდებოდნენ, სისხლის გარდახდამდე ფასს რასმე მისცემდნენ და სანაცვალო იმ ფასს ერქვა, იხ. ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონი.

...რუნებასაც ჰპირდებოდნენ. გარდაცვალებულის გვამი პოლიციამ ტფილისის საანატომიო კაბინეტში გაჰგზავნა.

*** ჩვენის თეატრების არტისტები პატარა გამობრუნდნენ ამ ბოლოს დროს „ინფლუენციისაგან“ და თეატრებიც გაცხოველდა. ფორკატის საოპერეტო დასს მით უფრო დაეტყო სცენის ნიშან-წყალობა, რომ ორივე არტისტი-ქალი, რატმიროვისაცა და ტროცკაიასაც, უკვე ჩამოვიდნენ ქალაქში და დღე-გამოშვებით თამაშობენ. საზოგადოება, ცოტა არ იყოს, ეხლა წყალობის თვალით უყურებს საოპერეტო დასს და ინახულებს ხოლმე. ქართულს დასსაც გამობრუნება დაეტყო. წარსულ წარმოდგენაზედ საკმაო ხალხი დაესწრო, დღეს დანიშნულია საფაროვის ქალის ბენეფისი და უნდა წარმოადგინონ ფრანგულიდგან ნათარგმნი ახალი პიესა „ჟულიეტა“, ამ ბენეფისს მოჰყვება თურმე ბენეფისი ჩვენის სცენის ახალის არტისტის ბ-ნ გედევანიშვილისა, რომელიც თავისს ბენეფისში ახლად გადმოთარგმნილსავე პიესასა სდგამს— „დონ-ჟუანს“. ქართული თეატრი აპირებს ამას გარდა ერთი წარმოდგენა საკუთრად ცეცხლისაგან დაზარალებულ წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებლის სასარგებლოდ გაჰმართოს. ამ ფრიად მოსაწონის აზრით გამართულს წარმოდგენას ხელს უწყობენ თურმე ჩვენი ქველ-მოქმედი ქალები, კნ. ბ. ბარათაშვილისა და სხვანი.

*** ტფილისი ერთობ ძლიერ ღარიბია ფართო მოედნებითა და ბაღებით შუაგულს ქალაქში. ბაღებს პვიწროებენ და არც მეიდნებია უკეთესს მდგომარეობაში. ანდრიას ქუჩაზედაც, ეპარქიალურ სასწავლებელთან, ეგულებოდა ქალაქს თავისი მოედანი. იქვე გამართა ქალაქის გამგეობამ საკუთარი სასწორი. ერთ დროს თქმაც იყო, რომ ამ ფართო მოედნის ნაპერზე საქალაქო ბაღი გაეშენებინათ. ის კი არა თუ, ამ ბოლოს დროს აღმოჩნდა, რომ ხსენებულ მოედანზე ძრიელ მცირე საკუთრება ჰქონია ქალაქს და უმეტესი ნაწილი კერძო პატრონებისა ყოფილა. პატრონებს აუღიათ ქაღალდები და ერთს მათგანს კიდეც კარგა მოზრდილ ნაჭრისთვის ლობეც შემოურტყავს ფიცრისა. როგორც ისმის, დანარჩენი პატრონებიც ასევე შემოზღუდვას უპირობენ თავ-თავიანთ მიწებს, და მაშინ ანდრიასა და ალექსანდრეს ქუჩები სამუდამოდ უნდა გამოეთხოვნენ საქალაქო მოედანს. საკვირველია, ასეთი სივიწროვე როგორ არ ჩააფიქრებს ჩვენის ქალაქის თვით-მმართველობას, როდესაც ტფილისი ასე ფეხ-აკრებით იზრდება და რამდენიც დრო გადის, იმდენი უფრო მატულობს ადგილების ფასი! თუ ეხლავ თავდარიგს არ დაიჭერს ქალაქი, მერე ხომ ერთი-ათად უფრო გაუძნელდება მიწების შესყიდვა საქალაქო ბაღებისა და მოედნებისთვის.

*** ბასილეთი (გურია): ჩვენი სამამასახლისო დიდი საზოგადოებაა. 700 კომლი გლეხ-კაცია და 60 აზნაურიშვილი. სკოლები სამი გვაქვს: ერთი საერო და ორი—სამრევლო. წელს საერო ერთ-კლასიანი სასწავლებელი ორ-კლასიანად გადავაკეთეთ და მეორე მასწავლებელიც მოვიწვიეთ. კიდეც არ გვყოფნის ეს სასწავლებლები და ენკენისთვეში დიდი ჩხუბი იმართება: არა, ჩემი შვილი უნდა მიიღონ წელს სკოლაში, არა, ჩემიო. ამის გამო მესამე სკოლაც გაემართეთ, განსაკუთრებით ქალებისათვის. ამ სკოლისათვის მოწვეულია მასწავლებლად ს. კალანდაძის ქალი. დღეს ჩვენს საზოგადოებაში სამასამდე ვაჟი და ქალი სწავლობს სამსავე სკოლაში. სკოლები ამდენი გვაქვს და ერთი კარგი ნასწავლი კაცი არ გამოსულა ჯერ ჩვენის ბასილეთის საზოგადოებიდამ. იყო ერთი, მაგრამ დიდხანს არ დასცალდა და სიკვდილმა მალე მოგვტაცა. დღეს-კი არავინ არა გვყავს. აქაურმა მღვდელმა ერთი შვილი ძლივს გამოზარდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში. ერთი აქაური კიდევ ეხლა სწავლობს იმავ სასწავლებელში. მაღალი სასწავლებელი-კი, ეტყობა, ჩვენთვის დიდხანს დარჩება ნატვრის თვალად.

## ხმა შორიდამ

(სოფლის მასწავლებლების საყურადღებოდ)

ამას წინად „ივერიის“ ერთ-ერთს წერილში ბ-ნი შუბნელი ჩიოდა სასოფლო სკოლებში წიგნების უქონლობას და ამ გარემოებას სახავდა უმთავრეს მიზეზად სასოფლო მასწავლებლების უკან-უკან წასვლისა, დაწერილმანებისა და დახურდავებისად. ბოლოს თითქმის იმასაც ამბობდა, რომ მასწავლებლები ამის გამო გაურბიან სკოლას და ბევრი თავს ანებებს თავის თანამდებობასაო.

რასაკვირველია, წიგნები ძლიერ კარგ საქმეს უზამდა მასწავლებლებს და გაუადვილებდა მეტად გაჭირებულს ცხოვრებას სოფელში. მაგრამ მე მგონია, წიგნებზედ უფრო მეტად მოეხმარებოდა მასწავლებლებს ამ საქმეში ორი სხვა ღონისძიება, რომელიც დამოკიდებულია თითონ მასწავლებლებზედ და რომლის მოპოვებასაც არც «წერა-კითხვის საზოგადოების» დახმარება უნდა და არც არავისი სხვისი. თუ გული გულობს, ქადა ორის ხელით იჭმევაო, ნათქვამია. თუ მასწავლებელნი გარჯასა და მხნეობას არ დააკლებენ, ვიმეორებ, ორი მშვენიერი ღონისძიება აქვთ, მუდამ წარმატებაში იყვნენ, უკან-უკან არ მიდიოდნენ და ადვილად შეებრძოლონ სოფლის უმეცრებასა და მოწყენილებასაც, ციევისა და გრძელის ზამთრის ღამესაც, რომელიც «სრულის თავის ძლიერებით ჰმეფობს იმის უცეცხლო და ფარღალალა სადგომში», როგორც ამბობს შუბნელი. ეს ორი ღონისძიებაა: 1) ამხანაგობა სოფლის მასწავლებლებისა და 2) ამხანაგობა ახლო და ერთად ყოფნა მასწავლებლებისა და გლეხ-კაცობისა. ამ ზაფხულს ერთ-ერთს სასოფლო სკოლაში შემდეგს ამბავს დავესწარით.

სკოლაში ვიყავით: რამდენიმე სოფლის მასწავლებელი, იქაურის ადმინისტრაციის წარმომადგენელი და მელაპარაკე ჩამოვარდა სოფლის მასწავლებლებზედ და აი დაახლოვებით რა უთხრა ადმინისტრაციის წარმომადგენელმა მასწავლებლებს: თქვენ „ჩინოვნიკები“-კი არა ხართ, მთავრობისაგან დაყენებულნი, თქვენ ხართ სახალხო მოღვაწენი. თქვენ უნდა კვალში უდგეთ ერის ცხოვრებას, იმ ერისას, რომელშიაც ცხოვრებთ. თქვენ უნდა გესმოდეთ იმის ძარღვის ცემა, იცოდეთ იმისი ავი და კარგი; თქვენ უნდა იძიებდეთ და იკვლევდეთ ერის საჭიროებასა და იმის ღლიურ ვარამს აცოდინებდეთ როგორც მთავრობას, ისე საზოგადოებასაო.

სწორედ ძრიელ სასიამოვნო იყო ამისთანა სიტყვების გაგონება. ზემოხსენებული სიტყვები, რასაკვირველია, საზოგადოდ ყველა მასწავლებლებს ეთქმის მაგრამ, განსაკუთრებით, თთეი, ჩვენს სოფლის მასწავლებელს უფრო, რადგან ჩვენში, სადაც არც ერობა და არც სხვა გვარი დაწესებულებაა, სოფლის მასწავლებელი ერთად ერთი, ასე თუ ისე, განათლებული კაცია გაუნათლებელთა და უმეცართა შორის. ზოგიერთი მასწავლებელი-კი ასე არა ჰფიქრობს, ერიდება სოფელს და არავითარი დაახლოვება არა აქვს გლეხ-კაცობასთან. ამისთანა მასწავლებელს არც არავინ იცნობს სოფელში, გარდა ერთისა და ორის „ტუზისა“ მასწავლებელიც ვერავის ვერ იცნობს. ამისთანა მდგომარეობა არ შეიძლება არ აფერხებდეს სწავლის საქმეს სკოლაში და მავნებელი არ იყოს მასწავლებელისათვისაცა და სოფლისათვისაც. ბევრად უფრო სიამოვნებით გაჰგზავნის გლეხი შვილს სკოლაში, თუ მასწავლებელს პირად იცნობს და რიგიანს კაცად. ეხლა გლეხისთვის მოვალეობაა სამასწავლებლო ფულის გადახდა და ამიტომაც არის, რომ უსიამოვნოდ იხდის. აბა გაერიოს მასწავლებელი ხალხში, შეაყვაროს თავი, თუ ყველას არა, რამდენსამე გლეხს მაინც, გააგებინოს სწავლის სარგებლობა და მაშინ, მე მგონია, გლეხი არაფერს არ დაიშურებს შვილის აღზრდისათვის, რადგან ეცოდინება, ვინ არის ის მასწავლებელი, რომელიც დღეს ასე შორსა სდგას იმისგან.

მასწავლებლისათვის კიდევ უფრო დიდად სასარგებლო იქნება ხალხთან დაახლოვება. ერთი მითხარით, რომელ წიგნის კითხვა სჯობია ხალხის ცხოვრების დაკვირვებას? მასწავლებელი ნასადილევს ერთხელვე ამოჩემებულ სოფლის კაცებთან მიდის. ეს კაცები არიან უფრო ან მიკიტან-ჩარჩები, ან მწერლები, ან სოფლის კუდა-აზნაურები და, რასაკვირველია, იმათგან კარგი არა გამოვა-რა.

რამდენჯერ მინახავს ამისთანა სურათი: კვირა დღეა; წირვა გათავდა; ხალხი გამოვიდა ეზოში და რამდენსამე ჯგუფად დაიყო. ბგერ დასხდნენ ერთად გლეხები და დაიწყეს მუსაიფი; თავიანთ საქმეების გამო მოშორებით სდგანან ჩარჩები, გაბერილი მიკიტნები, სოფლის სისხლის-მწოველი მოხელეები და სხვა-და-სხვა... როგორ ჰფიქრობთ, რომელ გუნდს შეუერთდა მასწავლებელი? ან მეორეს, ან

---

განსხვავდებოდა უბრალო მთიულისაგან და «ОТЛИЧНѢЙШІЙ ИЗЪ народа» იყო!..

ძეგლის დება სხვა განსხვავებასაც ჰპოვებს გლეხთა შორის. მთიულებში ეხლაც განთქმულია სალოცავი ლომისის წმინდა გიორგისა, რომელიც თვით გიორგი ბრწყინვალემ ილოცა. მთელი მთა დიდის სასოებითა და მოწიწებით შევედრის ამ წმინდა და სალმთო სადგურს. ძველ დროში ლომისის ეკკლესიას შეწირული ყმები ჰყავდა და რადგანაც იგი ეკკლესია დიდად პატივცემული იყო, ამიტომ მისი ყმაც თავისის სისხლითა და ღირსებით სხვა მკვიდრთაგან განირჩეოდა. ასე გასინჯეთ, ლომისის გლეხი თვით ჰაეროვანზედაც მაღლა იდგა და სისხლში ათას-ხუთასი თეთრი ეურვებოდა, ე. ი. სამასის თეთრით მეტი (მუხ. მზ).

## VIII

ძეგლის წინასიტყვაობაში მოხსენებულია, რომ, სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებას გარდა, ხშირი იყო აგრეთვე „ცოლის წაგვრა და უბრალოდ დაგდებაო“. თვით ეს გარემოებაც მიზეზად დაედო ძეგლის დადებას. ამიტომ ცოლ-ქმრობასა და საზოგადოდ საოჯახო წეს-წყობილებას მიქცეული აქვს ჯეროვანი ყურადღება.

ძეგლის ცოლ-ქმრობას ცხადად ეტყობა ორგვარი ხასიათი. სჩანს, რომ საეკკლესიო მოძღვრებას გზა გაუკვლევია ოჯახში, მაგრამ ამ მოძღვრებას მედგრად ებრძვის მეორე, სულ სხვა მიმართულება, რომლის აზრით ქორწინება უბრალო ხელშეკრულებაა და არა „საიდუმლო“... ეკკლესიისაგან უარყოფილი და დევნილი წარმართული ცოლ-ქმრობა ხომ ბუნებრივი სოციალოგიური მოვლენა და ძველი ჩვეულებაა. ამიტომ ძეგლის საცოლქმრო წყობილებასაც ღრმად დასჩნევია ამისი კვალი. რადგანაც ასეა, ძეგლის მდებელი, რასაკვირველია, ამაოდ სჩივის, რომ ცოლის „უბრალოდ დაგდება“ და „ცოლის წაგვრა“... „დიდი უსამართლო და მძლავრებული ქმნილ იყოო“... საქმე იმაშია, რომ როგორც პირველი, ისე მეორე მაშინდელის ცხოვრების მიუცილებელს მოვლენას შეადგენდა და ლოგიკური შედეგი იყო იმ დროინდელის საცოლქმრო და საოჯახო ვითარებისა [41]). ძეგლის მდებელმაც სრულიად ვერ აღმოფხვრა და ვერ აღმოჰკვეთა „უბრალოდ შეუცოდარის ცოლის დაგდება“, არა,— სჯულ-მდებელმა ნება-უნებურად ცოლის უბრალოდ დაგდება იწამა და შეინდო, მხოლოდ ერთის პირობით: ვინც უბრალოდ შეუცოდარს ცოლს გააგდებს, ნახევარი სისხლი უნდა დაუურვოს „გვარსა ზედაო“ (ძ.-დ. მუხ. კა. ამ მუხლის გამეორებაა შემდეგი, ოც-და-მეხუთე მუხლიც, კე.) მაშასადამე, ძეგლმა სხვა შემწეობა ვერ გაუწია დიაცს, მხოლოდ სისხლი გაუჩინა, ე. ი. სწორედ ისა, რაც უმისოდაც ჩვეულება და ადათი ქალს აკუთნებდა გარეშე მეზობლობაში [42]). მეორე უძველესი ჩვენი სჯულიც, აღბუღას სამართალი, რასაკვირველია, ძეგლის განჩინებას მისდევს,—ცოლის უმიზეზოდ და უბრალოდ დაგდება შეიძლებაო, მხოლოდ საჭირო კია ნახევარი სისხლი მისცეთ და მზითევიც თან გაატანოთო (მუხ. ლ). ერთის სიტყვით, ორივე უძველესი სჯულ-დება მხოლოდ საზოგადო ჩვეულებასა და ადათს აღგია, როცა ცოლის დაგდებას მოგვეთხრობს.

დაგდებას გვერდით უდგია ეგრედ წოდებული „წაგვრა“, ცოლის მოტაცება. როგორც დაგდებას, ისე წაგვრას ერთი და იგივე სოციალოგიური საფუძველი აქვს, ორივე დაწესებულება ერთის სათავისაგან მომდინარეობს. საქმე იმაშია, რომ ძველ დროს ცოლის შერთვა მოტაცებით შეიძლებოდა და მოტაცება კიდევ საყოველთაო ჩვეულებას შეადგენდა. ჩვეულებისა და ადათის დაგვარად, თვით მოტაცება სხვა-და-სხვა გზით იცოდნენ,— იტაცებდნენ ფარულად და ქალის ნება-დართვით, თუ არადა—დასხმით, ძალადობით [43]). ძეგლის დების ცოლის წაგვრა სწორედ ამ მოტაცების ნაშთია, მისი გამეორებაა, თუმცა სჯულიმართო ქმრიან ქალის წაგვრას იხსენიებს. რა-კი ერთხელ ჩვეულებამ დააწესა, მოტაცება საბუთია ცოლის შერთვისა და შერთვას ნიშნავსო, ქმრიანის ქალის მოტაცებაც ადვილი შეიქმნა და ხშირიც იყო. მაგრამ თუმცა საზოგადოდ უქმრო და ქმრიანის ქალის მოტაცებას ძველი ადათი ესარჩლებოდა, კანონმა-კი სასტიკი ყურადღება მიაქცია ცოლის მოტაცებას, რადგანაც ეკკლესიამ ქორწინება თავის საკუთარ საქმედ იცნო და ცალკე ცოლ-ქმრობის მოძღვრება დააწესა.

ძეგლი დებაც, როცა წაგვრას გვიამბობს, მხოლოდ „გვირგვინ ნაკურთხს“ ცოლს იხსენიებს და „ჯვარ-გაცვლილს“. გვირგვინ-ნაკურთხი კანონიერი ცოლია, ეკკლესიის წესით შეუღლილი და ამიტომ მისი წაგვრა დიდ დანაშაულობად ითვლება. ვინც სხვას ვისმე ასეთს ცოლს მოსტაცებს, თუნდაც ჯერ მოტაცებულს დიაცს არ შეხებოდეს, „არ შეყროდეს“, მაინც ქმარს ნახევარი სისხლი უნდა დაუურვოს „გვარსა ზედა“ (ძ.-დ. მუხ. გკ). თუმცა ჯვარ-გაცვლილ დიაცს ჯერ კიდევ ცოლი არ ეთქმის და იგი მხოლოდ დანიშნული და დაწინდულია, მაგრამ ძეგლი იმის წაგვრასაც კაცს ბრალად სდებს და ამ ბოროტ-მოქმედებისათვის ჯარიმად სისხლის მეექვსედს ახდევინებს, რასაკვირველია, „გვარსა ზედა“ (მუხ. კდ). მაშასადამე, ჯვარის გაცვლა, ნიშნობა ნამდვილი იურიდიული პირობა იყო და სავალდებულოდ ითვლებოდა მომავალ ცოლ-ქმრობისათვის. საზოგადოდ ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა ძველს ქართულს ნიშნობას და მხოლოდ სულ ბოლოს, უცხო სჯულის გავლენის გამო, გარდაიქცა იგი უბრალო და უმნიშვნელო ფორმად. უეჭველია, რომ აღბუღას სამართალსაც ნიშნობა სავალდებულო პირობად სწამდა, თუმცა ისე

---

[41]) ძეგლის „ცოლის უბრალოდ დაგდება“ სრულიად მიაგავს მაჰმადიანთა თალაქს (талакъ). თალაქი უარის თქმაა, სამჯერ გამეორება სიტყვისა „არა მსურს“... თალაქის ძალით, ქმარს, როცა ეპრიანება, ყოველთვის შეუძლიან ცოლი „უბრალოდ“, უდანაშაულოდ გააგდოს, მხოლოდ მეხრი უნდა მისცეს. ეს მეხრიც ძეგლის «სისხლს» უდრის და წინადვე გადაჭრილი ფასია, რომელიც გაგდებულს ცოლს უნდა მიეცეს Фанъ денъ Бергъ, стр. 111—112. მაგრამ აქედამ კიდევ არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ძეგლმა გადმოიღო „უბრალოდ დაგდება“ ყურანიდამ, არა,—იგი დაგდება ძველი ჩვეულებაა, ადათია და თითქმის ყველა მთის ხალხს მოეპოვება.

[42]) ეგრედ წოდებული ჩერქეზების უალიმი, აზნაურის ცოლისთვის ას ოცი თუმანი, გლეხის ქალისათვის სამოცი თუმანია. ოსებში ქმარს შეუძლიან, როცა სურს, გააგდოს ცოლი, მხოლოდ ნახევარი ურადი უნდა მისცეს, Адаты, 1, стр. 172; II, стр. 27, § 102 და სხ.

[43]) მაგალითებრ, ჩერქეზები ფარულად იტაცებენ ქალისავე თანხმობით; მოტაცება სავაჟკაცო და საქებური საქმეა, Адаты, 1, стр. 134—135, §§ 41, 42. ყაბარდოში დასხმით, ib. 226, § 12; ოსებში მოჰპარვა იციან, Ад. II, 5, § 19 და სხ. მოტაცება პირვანდელი ფორმაა ქორწინებისა და საზოგადო მოვლენას შეადგენს. შემდეგში ნამდვილი მოტაცება ისპობა და მის მაგიერ სიმბოლიური მოტაცება სჩნდება; ამის შესახებ ნახე „Начало цивилизацій“, Д. Леббока, стр. 75—85, სადაც, სხვათა შორის, მოყვანილია ჩერქეზებას სიმბოლიური მოტაცება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ არც ერთს და წავიდა სკოლაში, რომ იჯდეს ოთხ კედელ შუა. ყველასთან მივა, ყველას ლაპარაკს დაუწყობს და გლეხ-კაცებში-კი არ ჩაჯდება, მაშინ-როდესაც მხოლოდ იქ უნდა იყოს მარადის...

ჩემის აზრით, ყოველ, ცოტაოდნად განათლებულ კაცისათვის, შეტად საინტერესო უნდა იყოს გლეხების, ხალხის ცხოვრების თავის თვალით ხილვა, იმის ჩივილის თავის ყურით გაგონება.

რუსეთის უკეთესმა მწერლებმა ამ ბოლოს დროს რით გაითქვეს სახელი, თუ არ ხალხის ცხოვრების ცოდნით და იმ ცხოვრების აღწერითა და დასურათებით... ისინი განგებ მიდიოდნენ ხალხში და ითმენდნენ ათას გაჭირვებასა და თავის თვალით აკვირდებოდნენ იმათ ყოფა-ცხოვრებას. მასწავლებლები ხომ მუდამ ხალხში სცხოვრობენ და, საკვირველია, რად ჰხუჭავენ განგებ თვალს, რად იცობენ ბამბას ყურში?..

დიაღ, ბ-ნო მასწავლებლებო, გაახილეთ თვალი, ამოიღეთ ყურიდამ ბამბა, შეუერთდით ხალხს და მაშინ გაიგებთ იმ სიტკბოებას, რომელიც მოგენიჭებათ ხალხის დაახლოვებით. თქვე დალოცვილებო, ლევ ტოლსტოის მაინც ველარ შეხედავთ, რა ამბავია?.. ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა, ვისაც ძალა შესწევს ამისთვის, შეედგინა სოფლის მასწავლებლებისთვის მოღვაწეობის პროგრამმა, თუ როგორ და რას მიაქციონ იმათ ყურადღება ხალხში ცხოვრების დროს, რომ შეისწავლონ სოფელი და სოფლის ცხოვრების მრავალ-გვარობა.

მეორე ღონისძიების შესახებ მასწავლებლების ამხანაგობის თაობაზედ ლაპარაკიც არ უნდა იყოს საჭირო; ისეც აშკარაა, რა სასარგებლო იქნება ეს ამხანაგობა მასწავლებლებისათვის. ყოველ თავისუფალ დროს რამდენსამე მასწავლებლის ერთად თავის მოყრა, აზრების ალებ-მიცემა, ერთად რაიმე საშუალების მოძებნა ბევრ სიკეთეს მოუტანდა; ეხლა ხშირად მეზობელი მასწავლებლები ვერც-კი იცნობენ ერთმანეთს.

დ. ხ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ინგლისმა ამ ბოლოს დროს, რუსეთის საზიანოდ, ძალიან ჩაითრია ხელში სპარსეთი და მკვიდრად მოიკიდა ფეხი ამ აღმოსავლეთის სახელმწიფოში. ინგლისელებმა უფრო ამ ბოლოს დროს მოინადირეს ირანის მბრძანებლის გული, როცა შაჰი ევროპაში იყო და, სხვათა შორის, ინგლისსაც ეწვია. ინგლისი რომ თარეშობს ამ ჟამად სპარსეთში, ამის საბუთი არა ერთხელ და ორჯელ იყო რუსულს გაზეთებში მოყვანილი. აი ეხლაც გაზ. «Моск. Вѣдом.»-ში საინტერესო სურათია დაბეჭდილი, ინგლისიდგან მიღებული.

ეს სურათი გადაღებულია ფოტოგრაფის „William Coles“-ის მიერო, ამბობს გაზეთი: იმ დროს, როცა შაჰი თავის ამალით ინგლისში ბრძანდებოდა. სურათზედ ემინ-სულტანი დრუმონდ ვულფსა და სპარსეთის ინგლისელ ელჩ მელქუმ-ხანს შუა სდგას, იმ მელქუმ-ხანისა, რომელმაც ლონდონში გზა გაუკვალა ინგლისისა და სპარსეთის კავშირს, სერ დრუმონდ ვულფის მიერ თეირანში გულ-დადებით შემუშავებულს.

ამ სურათს ემინ-სულტანი სიმბოლიურს მნიშვნელობას აძლევს: უეჭველად უნდოდა თვალ-ნათლივ აღენიშნა სურათზედ ის მკვიდრი და დაურღვეველი კავშირი, რომელიც სპარსეთისა და ინგლისს შორის ჰსუფევსო. ამ აზრით იგი სურათის წინ უბრალოდ-კი არა სდგას, ჩვეულებრივ, როგორც სხვები სხდებიან, არა, მათ შუა ჩამდგარა და ორივეს ხელი ჩამორთმეული აქვს.

ამ ჟამად მელქუმ-ხანი უკანვე გაწვეული ლონდონიდგან ემინ-სულტანის მიერ თეირანს, სადაც, რაღა თქმა უნდა, სამი მეგობარი კვლავ ერთად შეიყრებიან, რომ საერთო ძალით ეწინააღმდეგონ რუსეთს. მელქუმ-ხანს სახელი აქვს გავარდნილი გაიძვერასი და ევროპის მცოდნესი და ამიერიდგან იგი იქნება ემინ-სულტანის მარჯვენა ხელი თეირანში...

**

„Nouvell Revue“-ში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ლერუა ბოლიესი: „ჩვენი სტუმრები 1889 წელს“. ავტორი წარმოდგენით ისურათებს იმ წერილებს, რომელნიც პარიჟის მსოფლიო გამოფენის მნახველი ვითომ-და თავისის სამშობლოში დარჩენილ მეგობრებისთვის უნდა მიეწეროთ. მოგვყავს რამდენიმე ადგილი ასეთის წერილებისა.

აი სპარსეთის შაჰი რას ამბობს, სხვათა შორის, თავისს დღიურში:

...„როცა სამხედრო სასახლე ვნახე, თავში იმ ფიქრმა გამიარა, რომ აღმოსავლეთი მოსულა აქა, რათა აღტაცებაში მოვიდეს თავის დასატყვევებელ იარაღით-მეთქი. მეფე აზია ყურადღებით ადევნებს თვალ-ყურს იმ სამზადისს, რომელიც იმის დამარხვასა აქვს გამოწვეული. ჩვენ ვცდილობთ ევროპის მიერ ახალი გამოგონილ იარაღი ჩვენშიაც შემოვიღოთ, მაგრამ დაგვაკლდის-კი იგი იმდენს, რომ ამის მოხერხება შევიძლოთ. თუ ალლახი არ გვექნა მწედ და მფარველად, რაღა დარჩება რაღაც ასის წლის შემდეგ აღმოსავლეთის ცხოვრებიდგან? აღმოსავლეთის ჭკუა და თვით აზიური სული დაილევება და დაინთქმება დასავლეთის ცივილიზაციის ერთ-ფეროვან მძიმე ტვირთ ქვეშ.“

აი ციმბირელი ვაჭარი-მრეწველი, რომელსაც ეიფელის ციხე დაუთვალიერებია, რასა სწერს თავისს სახლობას:

...„ასე მგონია პირველში, რომ კლდეზედ გადმიტანეს-მეთქი, იმ კლდეზედ, საიდგანაც მაცდურმა უფალს ამ ქვეყნიური სამეფო დაანახვა. ეს სამეფო ჩემს თვალ-წინ იყო ურიცხვის სახლითა, მინდვრითა, ბაღითა და ბოსტანით, წყალ შუა, რომელიც ელვარებდა და ბრწყინავდა მზის გულზედ. ცხიერი ბაბილონი, დღესასწაულებრ მორთული, ჩემს ფეხ-ქვეშ იყო და ურიცხვად გადაეშალა თავისი სასახლენი, წარკოტნი და სიმდიდრენი, საიდგანაც ჩემამდე თითქო აღმოიმართებოდა სიოხორცით დატკბობის ნეტარებისა. იგი იღიმებოდა და მაცდუნა! თვალები დავხუჭე, თავს ძალა დავატანე, გადავიხარე და ეშმაკს შევაფურთხე“.

პრუსიის პოლკოვნიკი სწერს თავისის რაზმის აფიცერს:

...„როცა ციხიდგან ჩამოვედი, მეორე ბაქანზედ შევედი, „Figaro“-ს ფარდულში. აქ მთელი სია, სადაც კოშკში მყოფნი თავისს სახელსა და გვარს და ნაფიქრ ნააზრსა სწერენ. მეც სხვებსავით მოვიქეცი. ამ მსოფლიო სისულელის დავთარში, იმის ქვეშ, სადაც რახჟნა სიტყვები იყო დასარჯული საფრანგეთის რესპუბლიკისა და 1789 წლიდგან ასის წლის შესრულების დღეობის პატივსაცემლად, აუჩქარებლად ლათინურის ასოებითა და გერმანულის სიტყვებით დავწერე ჩვენი უცვლელი დევიზი: „Gott, könig urd Vaterland“ („ღმერთი, მეფე და სამშობლო“).

## წვრილი ამბავი

ნიუ-იორკის გაზეთები შემდეგს სასამართლოში გარჩეულ საქმის ამბავს გვაუწყებენ. ეს საქმე გაურჩევიათ ნაფიც მსაჯულთ კალიფორნიის ერთს დიდს ქალაქში. ბრალდებულად ყოფილა ერთი ვიღაც ჩარლზ ტურნერი, ინდოელთა ტომის მეთაური, ეხლა-ხან გაქრისტიანებული. ამ კაცს ის ბრალი ედებოდა, რომ თავისავე ტომის ექიმბაში ინდოელი მოეკლა. როცა ჰკითხეს ბრალდებულს, რად ჩაიდინე ეგ ბარბაროსული დანაშაულიო, ჭკვიანმა და გონებიანმა ინდოელმა სთქვა თურმე: „ამ რამდენისამე კვირის წინად ავად გამიხდა უმცროსი ძმა. რადგან თეთრ-კანიანი განათლებული ექიმი არა გვყავს, ჩვენებურს შინაურს ექიმბაშს მივმართე. ექიმის მესამედ მოსვლის შემდეგ ვკითხე, რომ იმედი გაქვს თუ არა ჩემის ძმის მორჩენისა მეთქი. მიპასუხა, რომ იმედი მაქვსო. ამასობაში გაიარა კიდევ რამდენმამე დღემ და ავადმყოფს არამც თუ გამობრუნება დაეტყო, უფრო და უფრო უკან მიდიოდა და აშკარად ვგრძნობდა, რომ ადგომას აღარას დროს აღარ მოესწრობოდა. მაშინ მომაგონდა ჩვენი ძველებური ჩვეულება. ეს ჩვეულება მომაკვდავის ნათესავს ნებას აძლევს, ცოდვების მოსანანიებლად, მოჰკლას ის ექიმი, რომელიც მორჩენას დაჰპირდა ავადმყოფს, მაგრამ თავისი სიტყვა-კი არ შეასრულა. აი ამ მიზეზით მოვკალი ექიმბაში. იმავ დღის საღამოს ჩემი ძმაც გარდაიცვალა“. სასამართლოში ტურნერმა გამოაცხადა თურმე: „არ ვიცი თქვენ როგორ ექცევით თქვენს ექიმებს ამისთანა შემთხვევაში, ხოლო თუ ჩვენს შინაურმა ექიმბაშმა ამისთანა შეცდომა ჩაიდინა, ჩვენს უწმინდესს მოვალეობადა ვსთვლით საიქიოს გავამგზავროთ, რათა საშუალება მოვუსპოთ და აღარ შეეძლოს მეორედ კაცის მოკვლა, სიცოცხლეს-კი ის ხომ ვერავის მისცემს. ყველაფერი

---

სასტიკად არა, როგორც ძეგლის დებას. ალბულას სიტყვით, „ჯვარ გაცვლილ საცოლეს“ წაგვრისათვის დამნაშავეს სისხლი-კი არ უნდა გარდაეხადა, ცოტა რამე უნდა მიეცა გულნატკენ დანიშნულისათვის, რათა მტრობა არ აღიძრასო (მუხ. მ).

შავს და ბნელს სურათს წარმოადგენდა ცოლის წაგვრა. თითქმის არც ერთი ბოროტ-მოქმედება არა ჰბადავდა ისეთს სასტიკსა და მედგარს მტრობას, როგორც წაგვრა. ჯერ ერთი, რომ დამნაშავეს სრული სისხლი უნდა დაეურვა. მაგრამ ეს არა კმაროდა: „ცოლ-წაგვრილს“, მთელის წლის განმავლობაში, სრული ნება ჰქონდა ყოველ გვარი ავ-კაცობა და ბოროტი მიეყენებინა წამგვრელისათვის,—თავს დასხმოდა, დაერბია, გადაეწვა... თითქო ესეც ცოტა იყო და შეურაცყოფილს ქმარს მეორე წელიწადსაც ნება ეძლეოდა შური ეგო მტრისათვის,—„ერთს წელიწადს უკან რას ემტერების, იგიც მიეფერების“, მხოლოდ იმ პირობით, რომ მაშინ მარტო «ნახევარ სისხლის დაურვება მართებს» ...(ძ.-დ. მუხ. კბ). საყურადღებო აქ ისაა, რომ, შურისძიების დროს, რაც უნდა ბევრი ზარალი და ვნება მიეცა ცოლ-წაგვრილს თავის მტრისათვის, სისხლში მაინც არ ჩაუვარდებოდა. თუნდა მტერი კიდეც მოეკლა, მაინც არაფერი; მხოლოდ თუ ვისმე იმის ოჯახისას მოჰკლავდა, „სისხლი არასოდეს გაუცუდდების“, ე. ი. მოკლულის სისხლი უანგარიშეთ ცოლ-წაგვრილსაო.

შურისძიება ცოლის წაგვრის გამო ცალკე სდგას და მოქმედობს იმ დრომდე, ვიდრე სისხლი დაიურვება. სისხლის გარდახდის შემდეგ მესისხლეთა შორის მშვიდობა მყარდებოდა და შურისძიებაც ისპობოდა. მაშასადამე, შურისძიება სისხლის დაურვებას წინ უძღოდა და განსაკუთრებულს მოვლენას წარმოადგენდა. მისი თვისება ითხოვდა სრულს სასტიკობას და სასტიკიც იყო, მაგრამ ვადა, დრო ანელებდა და აცხრობდა ამ საშინელსა და შემაძრწუნებელს ვნებათა ღელვას. შურისძიება მხოლოდ ორ წლამდე უნდა გაგრძელებულიყო და ეს შედარებით მოკლე ვადა, რაც უნდა იყოს, ამტკიცებს, რომ ძეგლმა შეასუსტა და ძალა მოაკლო საშინელს მტრობას და ეს იმ დროსთვის ხომ თვალსაჩინო წინმსვლელობა იყო *). რასაკვირველია, თუ დამნაშავე სისხლს მალე გარდაიხდიდა, შურის-ძიებას საბუთი არა ჰქონდა და თავის თავად ისპობოდა, თუ არა-და—ორის წლის მეტს მაინც ვერ გასტანდა. თუმცა ბუნება ყველა შურის-ძიებისა ისეთია, რომ ხშირად შურს იძიებს მთელი გვარი და ოჯახი, მაგრამ ძეგლის შურისძიება მარტო ცოლ-წაგვრილის საქმეა, მისი პიროვნული კუთვნილებაა. ქმარს გარდა, არც მოახლეს და არც მეგისს, არც გაყოფილს და არც გაუყოფარს ნება არა აქვს მტრობა გაუწიოს ცოლის წამგვრელს. ეს მეორე თვისება კიდევ უფრო ასაბუთებს ჩვენს აზრს, რომ ძეგლმა, ცოტად თუ ბევრად, მშვიდობის ნათელი მოჰფინა იმ ბნელეთს, რომლის უფსკრულში მხოლოდ მღელვარე შური და მძვინვარე მტრობა მოსჩანდა...

იურიდიულად შურისძიება შეიცავს ორს ნაწილს, ორს სხვა და-სხვა საგანს. იგი სდევნის პიროვნებას (ეს დასხმაა). გარდა ამისა, აზრად აქვს დამნაშავეს ზარალი მისცეს, ქონებითა და მამულით ავნოს. ამას კერძოდ მტრობა ჰქვიან (მუხ. კბ, კვ). დასხმა და მტრობა ერთად სწარმოებენ, ერთად ვარჯიშობენ; შურის მეძიებელს ორისავე ნება აქვს, იმაზედ დამოკიდებულია, რა ირჩიოს, რომელს ღონეს მიჰმართოს, პიროვნებაზედ იძიოს შური, თუ მამულ-ქონებაზედ. რასაკვირველია, დასხმა და მტრობა რომ უსასჯელოდ დარჩენილიყო, ჯერ ისევ შერიგებისა და სისხლის გარდახდის ხსენებაც არ უნდა ყოფილიყო —„არც შეზავებულნი იყვნენ, არც დანდობილ იყვნენ, არც სისხლი აღებულ იყოს“... მხოლოდ მაშინ ცოლ-წაგვრილი „დამსხმელი არ არის“, დასხმა არაფერია, უშედეგოა.

მაგრამ, დასხმას გარდა, შურისძიების დროს „შებმაც“ ხომ შეიძლებოდა,—როცა მესისხლენი ერთმანეთს შეხვდებოდნენ და იარაღზედ მიდარდებოდა საქმე. თუ გულ-დაკოდილი ცოლ-წაგვრილი მოჰკლავდა კაცობისა და ქუდის ამხდელს, თავის შემარცხვენელს, სისხლის მაგიერად, სულის შესანდობელი უნდა გარდაეხადა და ამ შემთხვევაში «წირვისა კათალიკოზმან და ეპისკოპოზმან გაუჩინონ»,—სხვა არაფერი. თუმცა ეს საალაპო ხარჯი ანუსხული არ არის, მაგრამ, ვგონებთ, აქაც სია „გვარსა ზედა“ უნდა შემდგარიყო...

ჩვენ შევნიშნეთ, რომ ძეგლის-დებამ ცოტად მაინც დაამშვიდა ვნებათა ღელვა, აღაგმა თავ-აწყვეტილი შურისძიებაო. ამას საჭიროებაც თხოულობდა: გულის-შემაძრწუნებელსა და აღმაშფოთებელს სურათს წარმოადგენდა ცოლის წაგვრა, საშინელს მიხლა-მოხლასა და შუღლსა ჰბადავდა. გაშმაგებული გრძნობა მზად იყო ყველა შთაენთქა, ყველაფერი შეემუსრა და ისე შეუნდობლად მრისხანებდა, რომ თვით შეიარაღებულნი, «აბჯროსანნი დიაცნი» მონაწილეობას იღებდნენ მესისხლეთა ერთურთის შებლაში, „შებმაში“. დიაღ, გულადი და შეუპოვარი მთის მანდილოსანი ქუდოსანთან ერთად ებრძოდა მეშუღლეს!.. დადუმება აღარ შეიძლებოდა და ძეგლმაც მხოლოდ ერთი ღონისძიება იხმარა,—იქმნება ამან მაინც ბოლო მოუღოს დიაცის კაპასობასაო: ...„თუ დიაცი მეომრად იყოს და აბჯარი ჰქონდეს და მოკვდეს, გაცუდდეს მის დიაცის სისხლიო“... ეს იმას ჰნიშნავდა, რომ აბჯროსანი დიაცი ცოლის გამო ატეხილს შებმაში ნუ გაერევა და თუ გაერია, მისი მოკვლა არაფერია, სისხლი არ ეზღვევაო. ასე ეპყრობა ძეგლი დიაცს „შებმისათვის“ და რამდენადაც ეს მოპყრობა სასტიკია, მით მტკიცდება, რომ იგივე სჯულ-დება სხვა შემთხვევაში მეტად ჰქომაგობს და მხარს უჭერს ბრალ-დაუდებელ ქალსა, ასე რომ „შებმის“ დროს ვინმე «უბრალო», უმანკო დიაცი რომ მოეკლათ, „ორი სისხლი დაიურვონ დიაცისათვისო“ (ძ.-დ. მუხ. კვ).

თითქო დიაცთა მოკვლითაც არ თავდებოდა თავს ზარ-დამსხმელი „შებმა“. თუ „შებმისთვის“ არა, „შებმის“ დროს მაინც სჭრიდნენ, ან ჰკლიდნენ მღვდლებსა და ბერებსა, ასე განსინჯეთ, თვით მონოზნებსაც-კი: ეს ალბად იმიტომ, რომ „შებმას“ საშინელი სისხლის-ღვრა მოსდევდა და საქაო ბოროტის მდევნელნი ვალად ჰრაცხდნენ შუღლი მოესპოთ, მესისხლენი გაეშველებინათ. მაგრამ, სამწუხაროდ, შურისძიების ზვირთი ხშირად ჰლუპავდა თვით ღვთის-მსახურთაც. მხოლოდ ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ „გვარსა ზედა“ ორ-კეცის სისხლის დაურვება თითქო ჰლალადებდა, რომ ააფთრებულ შურისძიების წინაშე ყველა ღონისძიება ამაო და ფუჭი არისო!..

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

*) ჩერქეზებში შურისძიება რამდენსამე თაობასა და საუკუნეობა-კი გასტანდა ხოლმე, Адаты, 1, стр. 165, V; ზოგიერთ ადგილას ოსეთში სისხლის დაურვება სირცხვილად მიაჩნიათ და საშვილიშვილო შურისძიებას მისდევენ; ჩაჩნებშიაც შურისძიებას თითქო დასასრული არა აქვსო, Адаты, II, 28, § 109, 93, § 26.

გსთქვი, რაც სათქმელი მქონდა, დაგვინიშნეთ თეთრ-განიანი ქამები და მე-კი... მე-კი ისე დამსაჯეთ, როგორის სასჯელის ღირსადაც მიგაჩნდეთ“. ამ ახალგაზდა ინდოელის სიტყვამ ისეთი დიდი მოქმედება იქონია თურმე ნაფიც მსაჯულებზედ, რომ ტურნერს, სიკვდილით დასჯის მაგიერ, როგორც ყოველთვის იქცევიან ხოლმე ამ გვარს შემთხვევაში, რამდენისამე წლით ციხეში დაპატიმრება გადუწყვიტეს.

— ვიღაც ჩიკაგოელს ქიმს, ამერიკელის გაზეთების სიტყვით, ახალი ბაქტერია აღმოუჩენია, სახელდობრ „სიყვარულის ბაქტერია“, რომელიც ყველა მსურველს უცრის თურმე. რაღა თქმა უნდა, ამ მოხერხებულს კაცს დიდ-ძალი მუშტარი დაეცა თურმე. მის მიერ ანაცერთ, სიყვარულის მაგიერ, ისეთი საშიში ნიშნები აღმოაჩნდათ, რომ მთავრობამ გადასწყვიტა ბოლო მოეღო იმის თარეშობისათვის და თვით სიყვარულის ქიმბაშიც დაეპატიმრებინა. თავისდა საბედნიეროდ, ამ ქიმისთვის დროზედ უცნობებიათ ეს მთავრობის გადაწყვეტილება და სადღაც გაპარულა.

— ახირებული ამბავი მომხდარა ამას წინად ვეიმარში. დიდს ჰერცოგს ვეიმარისას გადაუწყვეტია, რომ ყველა არტისტ-ქალს ვინახულებ და თითოეულს ცალკე მოვუსმენ, თუ საჩივარი, ან სათხოვარი აქვს რამეო. რადგან ძნელად გადასაწყვეტი იყო, ყველაზედ უპირველესად რომელი არტისტი-ქალი უნდა მივუშვათ ჰერცოგთან და ამ მხრით რომელს მივცეთ უპირატესობაო, გოფმეისტერმა დაადგინა თურმე, რომ ხნიერობის კვალობაზედ შევიდნენ ხოლმე და ვინც ყველაზედ უხნიერესია, პირველადაც იმან ჰნახოს ჰერცოგიო. ამასობაში არც ერთ არტისტმა-ქალმა არ მოინდომა თურმე უხნიერესად ყოფნა, ყველა სხვას უთმობდა ჰერცოგის პირველად ნახვის უპირატესობას და ბოლოს საქმე იქამდე გამწვავდა, რომ ვეღარც ერთი ვერ ეღირსა ჰერცოგის ხილვას.

## „ივერიის“ ფოსტა

ათონის მთიდამ მოწერილის წერილის ავტორს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება, რადგანაც იგი ერთმანეთის კიცხვას უფრო შეეხება, ვიდრე სხვას რასმე გაზეთისათვის საყურადღებოს.

კამბეჩოვანელ ნოდარ ბრანბეუსის განზრახვების ავტორს. ვწუხვართ, რომ თქვენი წერილი არ იბეჭდება „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“.

# დეპეშა

17 დეკემბერი

პეტერბურგი. 1-ს იანვრიდამ პეტერბურგში და მას შემდეგ თან-და-თან მოსკოვს, ვარშავას, ოდესას, კიევს, რიგაში და სხვა ქალაქებში შემოღებულ იქმნება ახლად ფოსტის ბანდეროლები ზედ შტემპელით საფოსტო ფულის გადასახადისა და «ბლანკები» დაბეჭდილ (закрытыя) წერილისათვის იმავ შტემპლებით. ეს ბლანკები წერილისათვისაც ქაღალდად გამოდგება და კონვერტადაც.

ჩარჯუი. 15 წლის ლეკი მალარამ-ალი, რომელსაც მოუკლავს შეინ-მეზანინის დუქნის დახლიდარი ვიშნიოვკინი. გაძარცვის გულისათვის და რომელსაც მკაცრი დასდო სასამართლომ, საჯაროდ ჩამოხრჩობილ იქმნა.

ხარკოვი. უწყებული საქმე შესახებ იმისა, რომ სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილებაში 60,000 მანათი განფლანგულ იქმნა, დანიშნულია სასამართლო პალატაში 11-ს იანვარს განსახილველად თანადასწრებითა წოდებათა წარმომადგენელებისა.

ოპორტო. დღეს შუადღის შემდეგ გარდაიცვალა იმპერატრიცა ბრაზილიისა გულის ფრიალისაგან. დონ-პედრო იყო სახელოვანო მუზეიში და სინჯავდა იქაურობას, როცა ბრაზილიის ელჩმა აცნობა ავად გახდომა იმპერატრიცისა, ხოლო როცა იმპერატორი შინ მივიდა, იმპერატრიცა უკვე გარდაცვლილიყო. იმპერატრიცის გვამს ერთ-ერთს აქაურს ეკკლესიაში გამოასვენებენ და მერე წაასვენებენ ლისაბონს, სადაც დაკრძალვენ ბრაგანცთა გვარის სამარხ სასაფლაოში.

ვენა (განსაკ. დეპეშა) მთავრობამ მიიწვია მეთაურნი გერმანელებისა და ჩეხელების დასისანი მოსალაპარაკებლად მორიგებისათვის. მეთაურნი დასთანხმდნენ და აპირობენ დაესწრნენ მოლაპარაკებას. როგორც ისმის, მოლაპარაკება დაიწყება ახალ-წლის შემდეგვე ვენაში და, თუ ორივე დასი მოინდომებს, მთავრობა თავის სანდო კაცებსაც გაჰგზავნის მოლაპარაკებაზე დასასწრებლად.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რომ აქ არაფერი არ იციან იმ აჯანყების შესახებ, რომელიც მოხდა ვითომ აღლანისტანში, როგორც გვაცნობებდა გუშინ „Daily Chronice“-იო.

როგორც ზანზიბარიდამ იწერებიან $^{15}/_{27}$ დეკემბრიდამ, ემინ-ფაშას ტკივილები კიდევ აეშალაო; ყურიდამ კვლავ დაუწო დენა სისხლმა. მკურნალნი ამბობენ, რომ ეს გარემოება ცუდი ნიშანიაო. ემინ-ფაშას ჯარები ჩასხეს „ხანსურახის“ გემში და გაჰგზავნეს ეგვიპტეს.

ის ამბავი, რომ ვითომ ბრიტანიის სამხედრო გემები ლისაბონს წავიდნენო, უსაფუძვლო ამბავია.

კერძო ქონება ბრაზილიის იმპერატორის ოჯახობისა სახაზინოდ არ იქმნება შერიცხულიო.

ის ხმა, რომ ვითომ სამხედრო ლონის-ძიება იქმნა მიღებული პორტუგალიის წინააღმდეგაო, მართალი არ არის. ინგლისი დათანხმდა გადასდოს საქმის განხილვა, ვიდრე პორტუგალია მიიღებდეს მოხსენებას აფრიკიდამაო.

## პეტერბურგის ბირჟა, 15 დეკემბ.

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გარიგებულნი. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — " | " | 7 44 |
| ტამოჟნის კუპონები | — " | " | 148 1/4 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — " | — " | 1 11 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 253 1/2 | — " | — " |
| —მეორისა | — " | — " | 2[illegible]9 3/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — " | — " | 97 1/2 |
| ქუთაისის ბანკისა | — " | — " | 97 1/2 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 84 1/4 | — " | — " |


# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| საყმაწვილო ამბები თ. ასათიანისა, ფასი | " | 10 |
| სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული | " | 10 |
| საერთო კედლის კალენდარი 1890 წ., ექ. ხელაძის გამოცემა | " | 25 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა | " | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. | " | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: | 1 | " |
| ისტორია საქართველოსი, დ ბაქრაძისა | 1 | " |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | " | 20 |
| ქართული თეატრი, ვ. გუნიასი | " | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა | " | 15 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | " | 10 |
| გაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა | " | 30 |

მრავლისა და სხვა-და-სხვა გვარის

## სათამაშოების გამოფენა

იქნება

საცენტრალო გალანტერეის მაღაზიაში,

რომელიც იმყოფება ერევნის მოედანზედ, ზუბალოვის სახლში, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

იქვე

მრავლად და იაფად ისყიდება

ყოველ გვარი ხაგალანტერეიო და სათვალთო ნივთი, თეთრეული, ხელსახოცი, ყერხე, ფუფეიკა, ფერანგის ამხანაგი, ლამპა, წურწლეული, ალბომი და მრავალი სხვა (10—3)


## ქალაქის გამგეობის განცხადება

ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილებით, რომელიც შესდგა 23 ოქტომბერს 1889 წ. ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1 იანვრიდამ 1890 წ. გადასახადი დადებული „იზვოსჩიკებსა და მეპოვოსკეებზედ (извозный промыслъ) გაუქმებულ იქმნება და იმავე დღიდამ დაიწყება გამორთმევა გადასახადისა, ცხენებზედ დაწესებულისა, შემდეგის ახალის წესითა:

§ 1 უმაღლესად დამტკიცებულის 20 ოქტომბერს 1882 წ. და 4-ს თებერვალს 1888 წ. სახელმწიფო საბჭოს აზრის ძალითა და აგრეთვე ბ-ნ შინა-საქმეთა მინისტრის, 1889 წ. 29 ივლისიდამ, № 5377-ს ნება-რთვითა, დაწესებულ იქმნა ქალაქ ტფილისში ქალაქის შემოსავლისათვის გადასახადი ცხენებზე ასაღები. ამასთან ეს გადასახადი აიღება ყოველს ცხენზე, რომელიც-კი ეკუთვნიან ქალაქის წრეში კერძო პირთა და დაწესებულებათა (საზოგადოებათა, ამხანაგობათა და კომპანიებსა), ხოლო ეს გადასახადი არ გამოერთმევათ იმ ცხენებზე, რომელნიც ეკუთვნიან: ა) იმ სახელმწიფო სამსახურში მყოფთ პირთა, რომელთაც არსებულის კანონებით მინიჭებული აქვთ ცხენების ყოლა იმდენი, რამდენიც კანონითვე განსაზღვრულია (ბძანება სამხედრო დაწესებულების მიმართ 23 ს აგვისტოს 1889 წ № 200— „Кавказъ“, 1889 წ. № 242); ბ) უფროს კონსულებს, ვიცე-კონსულებს, კონსულების აგენტებს, რომელნიც ქვეშევრდომნი არიან იმ სახელმწიფოსი, რომლისაგანაც არიან დანიშნულნი, თუ ეს სახელმწიფო შეკრულია რუსეთთან ცალკე კონვენციითა შესახებ კონსულთა უფლებისა, ანუ თუ მის მიერ ამისთანა შეღავათი მინიჭებული აქვს რუსეთის კონსულებსაც, და გ) დროებით ქალაქში მოსულთა და მყოფთა (1 მუხლი 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონისა).

შენიშვნა. ცალკე გადაწყვეტილებამდე საკუთრივ ეკიპაჟები და სხვა სატარებელნი თავისუფალ არიან გადასახადისაგან.

§ 2, გადასახადის ქვემდებარე ცხენები სამ რიგად განიყოფებიან. პირველის რიგის ცხენებზე გამოერთმევათ 10 მანეთი, მეორის რიგისაზე—8 მანეთი და მესამე რიგისაზე—5 მანეთი.

პირველ რიგს ეკუთვნიან: ცხენები შინაური საეკიპაჟო, ბირჟის საფაეტონო (წყვილი თითო ფაეტონზე), ბირჟის სადროჟკო (ერთი თითო დროჟკაზე) და საფოსტო. მეორე რიგისას ეკუთვნიან: საპალნის ცხენები (ломовыя) (და ამათ შორის წყლის მზიდველნი ბოჭკითა). მესამე რიგს ეკუთვნიან ყველა სხვა ცხენები, ჯორების გამოუკლებლად (2 და 6 მუხ. 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონის ძალითა).

შენიშვნა ვისაც ცხენი ჰყავს და იმასთან სხვა-და-სხვა ღირსების ეკიპაჟი აქვს, მაგალითებრ, დროჟკა, პოვოზკა, ანუ ურემი, მაშინ ცხენი იმისი უმაღლეს რიგის ცხენად ჩაითვლება გადასახადის გამოსაღებად.

§ 3, გადასახადი უნდა შეტანილ იქმნას ტფილისის საქალაქო გამგეობის (управа) კასსაში იანვრისა და თებერვლის განმავალობაში ყოველ წლივ თანხმად გადასახადის სიისა (окладной листъ), რომელიც დაურიგდებათ საქალაქო გამგეობისაგან უწინარეს იმ დროისა, ვიდრე დადგება ზემოხსენებული ვადა გადასახადის შეტანისა. ცხენების პატრონებს, რომელნიც თავის დროზე არ შეიტანენ შეხვედრილს გადასახადსა, ანუ იმდენს არ შეიტანენ, რამდენიც ცხენი ჰყავთ, გადახდებათ ჯარიმა ოც-და-ოთხი პროცენტი იმ ფულისა, რაც გადასახადს დაკლებულ იქნება, გარდა იმისა, რომ პოლიციის წესით გამოერთმევათ თვით გადასახადიც. ეს ჯარიმაც შეირიცხება ქალაქის შემოსავალში (2 და 3 მუხ. 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონისა და საქალაქო წესდების 138-ს მუხ. ძალით).

§ 4, იგინი ვინც შეიძენენ ცხენებს შემდეგ გადასახადის სიების დარიგებისა, მოვალენი არიან აგრეთვე გადიხადონ დაწესებული გადასახადი: თუ ცხენი შეძენილია წლის პირველ ნახევარში, მთელის წლის გადასახადი და თუ წლის მეორე ნახევარშია შეძენილი, ნახევარი უნდა გადიხადოს წლის გადასახადისა. ამასთან გადასახადი უნდა შეტანილ იქმნას ან დანიშნულ ვადაზედ, თუ მის გასვლამდე ერთ თვეზე ნაკლები რჩება, ანუ წინააღმდეგ შემთხვევაში,—ერთის თვის განმავალობაში იმ დღიდგან, როცა ცხენი შეძენილ იქმნა (4 მუხლი 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონისა).

§ 5. ფულის მიღების ნიშნად საქალაქო გამგეობა (управа) მისცემს ცალკე კვიტანციას თვითეულ ცხენზე და ეს კვიტანცია შესაძლოა გადაცემულ იქმნას, ცხენთან ერთად, თუ ვინიცობაა ცხენი სხვის ხელში გადავიდა (5 მუხლი 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონისა).

§ 6. ვინც ცხენებს ინახავენ, მაგრამ მიღებული არა აქვთ სია გადასახადისა იმ წლის დამლევამდე, რომელიც წინ მიუძღვის იმ წელიწადს, რომლისათვისაც შეტანილ უნდა იქმნას გადასახადი, ანუ ვისაც ახლად შეუძენიათ ცხენები, მოვალენი არიან საქალაქო გამგეობას ყოველივე ეს აცნობონ; თუ არ აცნობეს, გამოერთმევათ მთელის იმ წლის გადასახადი, რომლის განმავალობაში ცხენები ჰყოლიათ, და ამ შემთხვევაში არავითარი ახალი ვადა არ მიეცემათ შეტანისათვის კუთვნილ გადასახადისა, რომელსაც ზედ დაემატება დაწესებული ჯარიმაც (2 მუხლი 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონისა).

§ 7. ბირჟისა და საპალნის იზვოშჩიკები მოვალენი არიან მუდამ იქონიონ თან საქალაქო გამგეობის კვიტანციები იმდენის ცხენისა, რამდენიც უბიათ იმის ნიშნად, რომ მათ მიერ გადასახადი გადახდილია, და პირველ მოთხოვნისათანავე უნდა წარუდგინონ საქალაქო საზოგადოებურ გამგეობის აგენტებსა და პოლიციის მოხელეებსა (20 ოქტომბრის 1882 წ. კანონის 2 მუხლის ძალით).

§ 8 ქალაქის საზოგადოებურ გამგეობის აგენტებს, თანასწორ პოლიციის მოხელეებისა, ნება ეძლევათ თავისუფლად შევიდნენ ყოველს ეზოსა და შენობაში, სადაც-კი ცხენებს ინახვენ ცხენების დასათვლელად. როგორც ქალაქის საზოგადოებურ გამგეობის აგენტების, ისეც პოლიციის მოხელეების მიერ წარმოდგენილ ცნობებისაგან შეივსებიან და შესწორდებიან წიგნები ცხენების სიებისა, ან გამოშვებულნი ჩაიწერებიან, ან ახლად შეძენილნი, ან გამოირიცხებიან დაკლებულნი.

(3—1)

Доз. ценз. Тифлисъ 18-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи. пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.